



საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
CHARITY HUMANITARIAN CENTRE “ABKHAZETI”

მაისი
2021 / #47

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი



ჩემი მორდუ - მულტიფუნქციური სერვის ცენტრი
ხანდაზმულთა სახლში ბენეფიციართა მისაღებად ემზადებიან,
სერვის ცენტრში აღჭურვის სამუშაოები მიმდინარეობს



CHCA-ის
წარმატების
ისტორიები
გვ. 2

კურდღელაური, თელავი
მცირე საოჯახო სახლი
გვ. 3



CHCA 2019-2020
წლიური ანგარიშის
გამოსაცემად ემზადება
გვ. 4

საარსებო წყაროების
უზრუნველყოფა
და ეკონომიკური
განვითარება

თემის
განვითარება
და ადვოკატირება

ბავშვებისა და
ახალგაზრდების
დაცვა და
განვითარება

მშვიდობის
მშენებლობა და
წოდების აღდგენა



ლიკა ხასია - ქ. ზუგდიდი ხელობის ჯგუფის (პოლიმერული თიხა) მონაწილე

“პოლიმერული თიხისაგან ყვავილების აქსესუარებს, სამკაულებს, ჭიქაზე მორთულობებს ვამზადებ და ვყიდი. ფეისბუქზე ჩემი გვერდი - ლიკას ხელნაკეთი ნივთები - მაქვს და ნამუშევრების რეალიზება არ მიჭირს”.

ლიკა ხასიამ ხელობის სწავლა ფინანსური დაინტერესების მიზნით დაიწყო. „სწავლის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. ბევრი რამ ვისწავლე - ყვავილებისაგან აქსესუარების დამზადება, ჭიქების მოხატვა და მორთვა, საყურების, საკიდების, ბეჭდების, ყელსაბამების, სამაჯურების დამზადება და სხვა“. ამჟამად, ის აქტიურად აგრძელებს საქმიანობას და ზუგდიდში გამართულ გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობს.

ნათია ბედოშვილი - მისაქციელი, მცხეთა საცხობის მონაწილე

ნათია ბედოშვილი შვეიცარიიდან საქართველოში 2020 წლის ნოემბერში დაბრუნდა. მას მშობლიურ სოფელში, მისაქციელი, ბიზნესის დაწყება სურდა, თუმცა, სათანადო სახსრები არ ჰქონდა. 2021 წლის მარტში მან ცენტრი „აფხაზეთისა და შვეიცარიული ორგანიზაციისგან სამშობლოში რეინტეგრაციის მიზნით 17.000 ლარი მიიღო და თანხა საცხობის ასაწყობად გამოიყენა.

„მიღებული თანხა საკმარისი აღმოჩნდა ბიზნესი დამეწყოს. შევიძინე ძვირადღირებული საცხობი ღუმელი, ცომსაზღელი, სამშენებო მასალა, სარეკლამო ბანერები და სხვა საჭირო საშუალება. მიუხედავად კორონავირუსით გამოწვეული პრობლემებისა, მომხმარებელთა ნაკლებობას არ ვუჩივი, დღეში მინიმუმ ერთი ტომარა ფქვილის რეალიზებას ვახერხებ და მსურველებს ნაზუქსა და შოთის პურს ვანვდი“.



ჭაბუკა ეხვაია - ხურჩა, ზუგდიდი დეკორატიული მცენარეების გამოყვანა

ჭაბუკა ეხვაიამ 2019 წელს 16.000 ლარის დახმარება მიიღო და სოფელში თავის საკარმიდამო მამულში სასათბურე მეურნეობა მოაწყო. თავიდან ბიო ბოსტნეულის კულტურების მოყვანით დაიწყო, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემდგომ დეკორატიული, ეგზოტიკური მცენარეების მოშენება დაიწყო.

„დავინწყე იაპონური კამელიის მოშენება, უიშვიათესი ჯიშია. 2021 წლის შემდგომზე უკვე 800 ცალი ორწლიანი კამელია მექნება. ძალიან ლამაზი მცენარეა, დეკემბრიდან მაისამდე ყვავილობს და მასზე მოთხოვნაც დიდია, ორწლიანი ნერვის მინიმალური ფასი 40-50 ლარი გახლავთ. ამ ეტაპზე მე კამელიას 9 სახეობა მაქვს. გარდა კამელიებისა სთბურში მაქვს კამელია, კალესტემონი, კვიპაროსი, ტუია, მახონია და აზალია“.



ახალგაზრდა ქალები ბუგდიდში გამოფენა-გაყიდვას გამართავენ



ხელობის ჯგუფის მონაწილეები 14 ივნისს ბუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვას გამართავენ. ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები სამი თვის მანძილზე სხვადასხვა ხელობას - ქარგვა, ქსოვა, ხის დეკორატიული დამუშავება, პოლიმერია - სწავლობდნენ. გამოფენა-გაყიდვებზე პროექტის მონაწილეები მათ მიერ შექმნილი ნამუშევრებს გასაყიდად გამოფენენ.

პროექტის მიზანია კონფლიქტით დაზარალებული და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა ქალების საარსებო წყაროების გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში



ცენტრი „აფხაზეთის“ წარმომადგენლები და დევნილი თემის ლიდერები გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. დევნილი თემის ლიდერებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს დასახლებებსა და კოლექტიურ ცენტრებში მათ მიერ ჩატარებული პირველადი კვლევის შედეგები გააცნეს. კვლევა მოსახლეობაში არსებულ სხვადასხვა სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს ასახავს. საჭარო მოხელეებმა დევნილებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელებიც დევნილ თემებს რიგი საკითხების გადანაცვებაში დაეხმარება.

მცირე საოჯახო სახლი კურდღელაური, თელავი




ქეთი შავერდოშვილი, მცირე საოჯახო სახლის მენეჯერი: „კურდღელაურში ამ ეტაპზე 8 ბავშვი გვყავს. მაისში ჩვენი სახლის ორმა აღსაზრდელმა ყველის სოციალურ სანაროში („ცივის ყველი“, „შუამთა“) დაიწყო მუშაობა, დატვირთვა მსუბუქი აქვთ და სამუშაოს თავს მარტივად ართმევენ. სახლის სხვა აღსაზრდელები სკოლაში დადიან და, ამასთან, სხვადასხვა წრეებზე - ჭადრაკი, ჭიდაობა, ცეკვა, ინგლისური - სიარულსაც ითავსებენ“.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ კახეთში (კურდღელაური, ბაისუბანი) 2 მცირე საოჯახო სახლს 2011 წლიდან მართავს. ამჟამად, კურდღელაურისა და ბაისუბნის სახლში 16 მოზარდი ცხოვრობს.

CHCA წლიური ანგარიშის გამოსაცემად ემზადება

ივნისში ცენტრი "აფხაზეთი" საზოგადოებას ორწლიან ანგარიშს წარუდგენს. 2019-2020 წწ. ანგარიში ორგანიზაციის 25 წლის იუბილეს დაემთხვა.

ნუკრი მილორავა, აღმასრულებელი დირექტორი: "განვლილ პერიოდში ორგანიზაციამ 200-ზე მეტი პროექტი განახორციელა და 75 ათასზე მეტ ადამიანს გაუწია პირდაპირი დახმარება და მხარდაჭერა. ათასობით ბავშვმა, მოხუცმა, დევნილმა და შშმ პირმა მიიღო სოციალური დახმარება. ათასობით ახალგაზრდამ, ქალმა და თემის ლიდერმა მიიღო სამოქალაქო განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები. ათასობით ფერმერმა, მცირე და საშუალო მენარმემ მიიღო მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა".



ჩემი მორღუ - მულტიფუნქციური სერვის ცენტრი რუხი / ზუგდიდი

მაისში დასრულდა მულტიფუნქციური სერვის ცენტრის რეაბილიტაცია და დაიწყო აღჭურვის პროცესი, რაც თითოეული ბენეფიციარისა და ზოგადად სახლის ფუნქციონირებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეტანასა და განლაგებას მოიცავს. ამასთან, დასრულდა ხანდაზმულებთან მომუშავე პერსონალის თეორიული და პრაქტიკული გადამზადება და დაიგეგმა სტაჟირების სამთვიანი პროგრამა ხურვალეთის ხანდაზმულთა თავშესაფარში „სახლი საზღვრების გარეშე“.

მადლობა ჩვენს მხარდამჭერებს

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

USAID Chemonics
პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz

Service social international – Suisse
Internationaler Sozialdienst – Schweiz
Servizio Sociale Internazionale – Svizzera
International Social Service – Switzerland

ASB
Arbeiter-Samariter-Bund

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK
EUROPE FOUNDATION
DANIDA | INTERNATIONAL DEVELOPMENT COOPERATION

Sweden/შვედეთი
Sverige

📍 შრომის ქ. #4
☎ თბილისი 0179, საქართველო
✉ +995 322 944 544
communications@chca.org.ge

CHCA Georgia
www.chca.org.ge